



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 ივნისი 2025



N 313/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა


ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მდ. ფარავანზე 4.6 მგვტ სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესისა“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.8 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მდ. ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესისა“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N40;
2. შპს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N40 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/313-21-4-202506161631>

